# ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 4 (2099) შაბათი, 25 იანვარი, 1986 წელი. ● ფასი 2 კაპ.


## გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ




თბილისი, 1986 წლის 24 იანვარი. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა.

ო. თურქიას, ს. ედიშერაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა

## საინფორმაციო ცნობა

**1986 წლის** 24 იანვარს თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ყრილობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — პრეზიდიუმს, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიებს.

ყრილობის დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **მ. ს. გორბაჩოვის** მეთაურობით.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი.
3. პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებისა (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ).

მომხსენებელი პირველ სამ საკითხზე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

4. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ი. გ. ხაზარაძე.
5. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა" პროექტი — მომხსენებელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი.
6. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა;

ბ) სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებისა.

მტკიცდება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

მოხსენება ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ) პროექტების საკითხთა გამო გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ **ი. გ. ხაზარაძემ.**

დაიწყო ყრილობის დღის წესრიგის პირველი ოთხი საკითხის განხილვა.

(საქინფორმი)

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

# ბრძანებულება

### ამხ. შ. ვ. გორგოძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს **ამხ. შოთა ვარლამის ძე გორგოძე** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.**
**პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.**
**თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 22 იანვარი.

შოთა ვარლამის ძე გორგოძე დაბადებულია 1932 წელს, ქართველია. სკკპ წევრია 1960 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — 1955 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, 1979 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა ამხ. შ. ვ. გორგოძემ დაიწყო 1955 წელს თბილისის ქარხანა „ელექტროგამზომში", სადაც მუშაობდა ოსტატად, საამქროს უფროსის მოადგილედ, უფროსად, ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად. 1962 წლიდან იგი პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის ინსტრუქტორია.

1965 წელს ამხ. შ. ვ. გორგოძე სამუშაოდ იგზავნება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში, განვლო გზა განყოფილების უფროსის მოადგილიდან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემდე. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 1978 წლიდან.

ამხ შ. ვ. გორგოძე შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორია, დაჯილდოებულია „ოქტომბრის რევოლუციის", „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლებით.

პარტიული ორგანიზაციის გორის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება.

მომხსენებელმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მ. დარბაიძემ ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთა პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მიერ გაწეულ მუშაობას და აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმიანობა მიმართული იყო იქით, რომ სათანადო დახმარება გაეწია შინაგან საქმეთა განყოფილებისათვის სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცებაში და თითოეული თანამშრომლისათვის მინდობილი საქმის ხარისხიანად შესრულებაში.

კარგი შედეგები მოგვცა პარტიულ კრებებზე და ბიუროს სხდომებზე მთლიანად განყოფილების და ცალკეული სამსახურების საქმიანობის ანალიზის განხილვამ.

# მართლწესრიგის განმტკიცებისათვის

პარტიული ორგანიზაციის კრებებზე და ბიუროს სხდომებზე განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: — შს გორის რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობის 1985 წლის მუშაობის შედეგები და პარტიული ორგანიზაციის შემდგომი ამოცანები საქართველოს კპ ცკ-ის 1985 წლის 26 მარტის და საქართველოს კპ გორის რაიკომის ბიუროს 1985 წლის 13 აპრილის დადგენილებებიდან გამომდინარე სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შს გორის რაიგანყოფილების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ. განყოფილების, მთელი პირადი შემადგენლობის ამოცანები დისციპლინისა და სოც. კანონიერების განმტკიცებისათვის, რომელიც გამომდინარეობს სკკპ ცკ-ის აპრილის პლენუმის მოთხოვნილებიდან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიული ბიუროს მუშაობაში დიდ დახმარებას გვიწევს პარტიულ კრებებზე კომუნისტების ანგარიშების მოსმენისა და მათი პარტიული დახასიათებების დამტკიცება, რომელსაც ჩვენ ვერ ვიყენებდით ისე, როგორც გვევალებოდა ამ საკითხის განხილვისას არ ხდებოდა ჯეროვანი და პრინციპული საუბარი, ადგილი ჰქონდა კომუნისტების მიერ საკითხისადმი აჩქარებულ და ფორმალურ დამოკიდებულებას და სამართლიანი იყო ცენტრარური კომიტეტის და პარტიის გორის რაიკომის ბიუროს მიერ ჩვენი მუშაობის უარყოფითად შეფასება.

ჩვენს მიერ გათვალისწინებული იყო ყველა მითითება და ვცდილობთ აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი რომელიც მუშაობაში გაგვაჩნდა.

მითითებების გათვალისწინების შემდეგ საანგარიშო პერიოდში ერთგვარად გაუმჯობესდა მუშაობა პირადი და სახელმწიფო ქონების საიმედოდ დაცვისა და შენახვისათვის, ამაღლდა საზოგადოების როლი დანაშაულის აღკვეთის საქმეში, გაუმჯობესდა მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდა, გააქტიურდა ბრძოლა სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, მუქთახორობისა და პარაზიტული ელემენტების გამოვლინებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის. განყოფილების პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია დანაშაულობათა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებისათვის საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროების ბრძანებებისა და დირექტივების პირად შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური წრთობის საქმეში, ამაღლდა კადრების პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დონე, განმტკიცდა დისციპლინა, გაუმჯობესდა საზოგადოებრივ აქტივთან საქმიანი კონტაქტები. კანონიერად და ვადების მკაცრად დაცვით წყდება ესა თუ ის საქმე, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის, მძარცველების, ხულიგნების და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების გამოვლინებასთან. პარტიულ კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების და მათი გამოსწორების შედეგად ერთგვარად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქალაქად და სოფლად. განმტკიცდა მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახური, გაუმჯობესდა სისხლის სამართლის სამსახურის მუშაობა. ამაღლდა უბნის ინსპექტორთა როლი სამომსახურეო უბნებში, გაფართოვდა მათი კავშირი მოსახლეობასთან. გაძლიერდა ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობა.

მიუხედავად ამისა, აღნიშნა მომხსენებელმა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გაწეული მუშაობის შედეგები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც დღეს კომუნისტური პარტია და მთავრობა უსახავს შინაგან საქმეთა ორგანოებს. მთლიანად ვერ ხერხდება იმ ამოცანების გადაჭრა, რომელიც დღეს რაიონის ოპერატიული მდგომარეობითაა განპირობებული. მიმდინარე წლის ამ დროისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დანაშაულთა რაოდენობა სტაბილურია, მაგრამ ის დამშვიდების უფლებას როდი იძლევა, ციფრობრივი მაჩვენებლები ყველა სახის დანაშაულის გამოვლინებაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ მათი ხარისხობრივი მხარე არც თუ მაღალია, უნდა გაუმჯობესდეს ურთიერთკონტაქტები საგამომძიებლო და სისხლის სამართლის სამსახურებს შორის. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ მეტი მუშაობა მართებთ სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის, ავტოინსპექციისა და არასრულწლოვანთა ინსპექციის სამსახურებს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ კომუნისტები: მირიტაშვილი, მელაძე, გოგიჩაშვილი, გაგნიძე და სხვა, რომლებმაც გულახდილად ილაპარაკეს და ობიექტური შეფასება მისცეს განყოფილების მუშაობას, გააანალიზეს არსებული ნაკლოვანებები, დასახეს მათი აღმოფხვრის გზები.

# ПЕРВЫЕ ШАГИ

**Центральный Комитет КПСС, рассмотрев вопрос о ходе выполнения постановления ЦК КПСС «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма», отметил, что взятый партией курс на искоренение этого уродливого явления получил полное одобрение и поддержку советских людей. На местах проводится большая работа по осуществлению широкого круга организационных, экономических, административно-правовых и воспитательных мер, направленных на преодоление этого социального зла.**

**Немало делается в этом направлении в Аджарской автономной республике. На крупных предприятиях и в организациях созданы клубы борьбы за трезвость, в рамках всей республики — Аджарская областная организация Всесоюзного добровольного общества борьбы за трезвость, при исполкомах Советов — комиссии по борьбе с пьянством и алкоголизмом.**

**В нагорных районах Аджарии при райисполкомах также созданы комиссии по борьбе с пьянством и алкоголизмом. О первых результатах своей работы рассказывают председатели этих комиссий.**

**Первый наш собеседник — председатель комиссии по борьбе с пьянством и алкоголизмом при Хулойском райисполкоме Ш. АБАШИДЗЕ.**

— В наше время, когда все полнее раскрываются созидательные силы нашего социалистического строя, преимущества советского образа жизни, особое значение приобретают строгое соблюдение принципов коммунистической морали и нравственности, преодоление вредных привычек и пережитков прошлого, и прежде всего, такого уродливого явления, как пьянство. Свою работу мы начали с того, что потребовали от хозяйственных руководителей района осуществить ряд мер, направленных на решительное усиление антиалкогольной работы и повышение ее эффективности, придать ей подлинно массовый характер, создавать в каждом коллективе обстановку нетерпимости к пьянству, к любым нарушениям дисциплины и порядка.

Раньше продажа алкогольных напитков была разрешена на 55 объектах торговли и общественного питания района, а сейчас — только в 13 объектах. В каждом колхозе проведены сельские сходы по вопросам борьбы с пьянством. Курс партии на искоренение этого уродливого явления получил полное одобрение сельчан. Об этом свидетельствует тот факт, что в некоторых сельских магазинах торговля алкогольными напитками запрещена по требованию самих тружеников этих сел. Так было, например, в селах Сквана, Бако, Дзирквадзееби.

Заметно сократилось число правонарушений, хулиганства и других преступных проявлений на почве пьянства. Вместе с тем, в антиалкогольной работе имеются и существенные недостатки. В селах Дидаджара, Агара, в поселке Хуло, выявлены факты хулиганства, совершенные в нетрезвом состоянии. За пьянство был оштрафован инспектор по кадрам Хулойской районной больницы А. Киладзе.

— Партия обязывает, — сказал наш следующий собеседник, председатель комиссии по борьбе с пьянством и алкоголизмом при Кедском райисполкоме **И. Тебидзе**, — повысить ответственность партийных, советских и комсомольских организаций за усиление антиалкогольной работы по месту жительства, в трудовых коллективах, рассматривая ее как непременное условие укрепления трудовой, производственной дисциплины и общественного порядка, оздоровления быта трудящихся и членов их семей. Лекторы, работники здравоохранения района ведут активную антиалкогольную пропаганду, разъясняют населению, что употребление алкоголя разрушает здоровье человека, пагубно сказывается на будущих поколениях.

Комиссии по борьбе с пьянством и алкоголизмом при исполнительных комитетах районных Советов предоставлено право налагать административные взыскания за распитие спиртных напитков на производстве или пребывание на рабочем месте в нетрезвом состоянии, а также за нарушение работниками предприятий торговли и общественного питания правил продажи водки и других спиртных напитков. А таких нарушений со стороны торговых объектов района допускается много, и нельзя не замечать этого. У нас в июле, августе, сентябре и октябре было продано гораздо больше спиртных напитков, чем в июне — значит борьба с пьянством пошла на ослабление. В селах Цониарисн, Махунцети зафиксированы факты пьянства, хулиганства, что явилось результатом нарушения правил торговли спиртными напитками. Так что работы предстоит еще много.

— Борьба против пьянства и алкоголизма должна тесно смыкаться с комплексом разнообразных мер, направленных на укрепление организованности, дисциплины и порядка, — таково мнение председателя комиссии по борьбе с пьянством и алкоголизмом при Шуахевском райисполкоме **Ш. Макарадзе.**

— Члены нашей комиссии вместе с работниками милиции проводят рейды, проверки торговых объектов с целью контроля за соблюдением правил торговли спиртным, встречаются с сельскими тружениками для откровенного разговора.

После таких бесед в селах Квиахидзееби, Нигазеули, Нагвареви не зарегистрировано ни одного случая пьянства или нарушения общественного порядка. Здесь же после разъяснительной работы сельские жители сами сдали в милицию пять самогонных аппаратов. В целом по району за последнее время произошло заметное снижение числа лиц, совершивших преступления в нетрезвом состоянии.

Тем не менее, за появление в нетрезвом состоянии в общественных местах оштрафованы рабочий объединения по заготовке сельхозпродуктов С. Давитадзе, колхозник села Шубани З. Болквадзе и другие.

Мы считаем необходимым в своей дальнейшей работе существенно улучшать организацию досуга трудящихся, создавать условия, обеспечивающие разумное использование свободного времени, проводить безалкогольные свадьбы и другие мероприятия. Пьянству должны быть противопоставлены трезвый отдых, резко негативное общественное мнение.

## КОМСОМОЛЬЦЫ НА ПРЕДСЪЕЗДОВСКОЙ ВАХТЕ

**В числе первых комсомольская организация подразделения милиции по охране гособъектов и учреждений УВД Тбилгорисполкома приняла участие в смотре - проверке «Охране общественного порядка — комсомольскую заботу», в соревновании за право подписать рапорт Ленинского комсомола XXVII съезду КПСС.**



**НА СНИМКЕ:** секретарь комсомольской организации Н. Мазмишвили проводит беседу с комсомольцами.

Фото С. Сычева.

## ТРЕЗВОСТЬ — НОРМА ЖИЗНИ

# СОВЕРШЕНО В ПЬЯНОМ УГАРЕ

**Общеизвестно: от тунеядства до преступления — один шаг. От пьянства до преступления — тоже. В этом не трудно убедиться, ознакомившись с материалами некоторых уголовных дел.**

**...23-летний Низам Энбов, наверное, в тот вечер и не думал никого грабить. Рабочий одного из ремонтно-строительных управлений города, ранее не судимый, Низам положительно характеризовался руководством управления, пользовался авторитетом среди сослуживцев. Но он совершил преступление, предусмотренное статьей 151 УК Грузинской ССР — грабеж.**

**Что же все-таки произошло в тот вечер, точнее, что предшествовало этому преступлению?**

**Выпив у себя дома, Низам Энбов решил продолжить застолье. Отправился в магазин, купил еще пару бутылок и окончательно захмелел. Вот тут-то и душа его настоятельно потребовала действий. Энергия била ключом и искала выхода. Вот он увидел женщину с сумкой в руке. Энбов подбежал, выхватил сумку и пытался скрыться. Но на крик женщины сбежались люди, стоявшие возле корпуса. Бросившись за Энбовым, они задержали его и доставили в Глданский РОВД г. Тбилиси. Потом был суд, лишивший Энбова свободы сроком на полтора года.**

**56-летний Василий Дзагоев, ранее неоднократно судимый, наказан строже. Пять лет лишения свободы — такой приговор вынес ему народный суд Глданского района. Дзагоев у кого-то приобрел огнестрельное оружие и, находясь в нетрезвом состоянии, устроил во дворе дебош, угрожая убить оружием свою невестку и соседей.**

**— Не помню, как все это и произошло, ведь я был пьян, — говорят правонарушители, рассчитывая на снисхождение: что, мол, взять с пьяного?**

**Хочется напомнить еще раз о том, что закон строго спрашивает с тех, кто совершает преступления в нетрезвом состоянии. Более того, пьянство считается отягчающим вину обстоятельством.**

**— Можно привести длинный перечень фактов преступлений, совершенных на пьяную голову, — говорит начальник следственного отделения Глданского РОВД г. Тбилиси майор милиции А. Шанидзе. — Но нужно ли? Достаточно вспомнить эти два, о которых было рассказано выше: ограбил, угрожал убийством.**

**А. АРАМАДЗЕ.**

# მობილურობითა და საზრიანობით

...ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს აცნობეს, რომ გაქურდეს წულუკიძის ქუჩაზე მცხოვრები ვ. ლასტოვის ბინა, რომელიც დასასვენებლად იყო წასული ოჯახით. ქურდებს აივნიდან გადასულან. წაეღოთ ძვირფასი ნივთები. მათ შორის იაპონური მაგნიტოფონი და საერთოდ ყველაფერი, რაც ღირებული იყო ოჯახში, შემთხვევის ადგილზე უმალ მოვიდნენ შინაგან საქმეთა ლენინის რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილ. კაპიტანი დ. შავნგირაძე და უბნის რწმუნებული, უფროსი ლეიტენანტი მ. ლომინაშვილი. ბინაში რასაკვირველია, ქურდები შემთხვევით არ მოხვედრილან. ქურდმა იცოდა ლასტოვის ბინაში მაგნიტოფონის და სხვა ნივთების არსებობის შესახებ. მაგრამ სად უნდა ეძებონ დამნაშავენი, მათ ხომ არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ? ეს ისეთი საქმეა, როცა არანაკლებ დიდი შრომა სჭირდებათ მილიციის მუშაკებს, ვიდრე სახიფათო დევნაა საშიში დამნაშავისა.

უნდა ითქვას, რომ დ. შავნგირაძემ და მ. ლომინაშვილმა შესაშური მობილურობა, ენერგიულობა და საზრიანობა გამოავლინეს.

გამოირკვა, რომ ამ უბანში საეჭვო თითქმის არავინ შეუნიშნავთ, გარდა ერთი ბათუმელი ახალგაზრდისა, რომელიც ხშირად დადიოდა ხოლმე აქ და თანაც არავისი სტუმარი არ იყო, არავინ იცოდა მისი ვინაობა, იცოდნენ მხოლოდ მეტსახელი. ოპერატიულმა მუშაკებმა მაშინვე ბათუმს მიაშურეს. გამოარკვიეს, რომ აქ მართლაც იყო მილიციაში აღრიცხვაზე ასეთი მეტსახელის მქონე პიროვნება.

ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. ბათუმელი სტუმარი იძულებული გახდა ეთქვა, რომ მისი მასპინძელი ქუთაისში მცხოვრები ალ. პეტუნინი იყო. როგორც შემდეგ გამოირკვა, არც პეტუნინი იყო ამ უბნის იშვიათი სტუმარი. მილიციის მუშაკები მივიდნენ პეტუნინის ბინაში, მაგრამ შინ არავინ დახვდათ. მეზობლებმა ამცნეს მათ ამ ბინის მცხოვრებნი ოთხი-ხუთი დღის წინ რუსეთს გაემგზავრნენო. დ. შავნგირაძემ და მ. ლომინაშვილმა მეზობლების, უბნის კომიტეტის სახლმმართველობის თანამშრომლების თანდასწრებით გააღეს პეტუნინის ბინა. მოპარული ნივთები თითქმის ყველა ადგილზე აღმოჩნდა. დადგინდა პეტუნინის ადგილსამყოფელიც და იგი სულ მალე დააკავეს.

# აქტიური მოქმედებით

... საღამოქამს „ფოთვაჭრობის" ადმინისტრაციული შენობის სახურავიდან ცეცხლის ენებმა ამოყო თავი. სხვენის სათავსოებში ხანძარი ბობოქრობდა. საშიშროება ემუქრებოდა არა მარტო „ფოთვაჭრობის" ადმინისტრაციული შენობის ოთახებს, არამედ ქვემოთ, პირველ სართულზე განლაგებულ სამრეწველო და სასურსათო ობიექტებსაც.

სახანძრო დაცვის მორიგე ქვეგანაყოფები გამოძახებისთანავე, გაემართნენ ხანძრის ადგილისაკენ. მიუხედავად ძლიერი დაკვამლიანებისა, მამაცმა მეხანძრეებმა, გასამხედროებული და პროფესიული სახანძრო ნაწილების ქვედანაყოფთა მეთაურებმა რ. ივანოვმა, ი. ჩერნიშევმა, ნ. გურგენიძემ პირველებმა შეაღწიეს სხვენში და წყლის ჭავლებით მედგრად შეუტიეს ხანძარს. ამასთან მეორე სართულის დაცვაზე აქტიურად მოქმედებდნენ მეხანძრეები. რ. ნასარაია, ა. ლორთქიფანიძე, ვ. გვიჩია, ი. ლავრენტევი და სხვები. ხანძარს არ მიეცა გავრცელების საშუალება და ლიკვიდირებული იქნა მცირე ზარალით. ხანძრის ქრობის სწორად ორგანიზებით თავი გამოიჩინეს გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსმა გ. ჭრიკიშვილმა და პროფესიული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსმა მ. ლემონჯავამ.

ცეცხლი გაჩნდა, მეხანძრეებმა თავიანთი მოვალეობა პირნათლად მოიხადეს. ხანძარი კი იმან გამოიწვია, რომ სხვენის სათავსოების შეკეთებისას არ დაიცვეს სახანძრო უშიშროების წესები.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მილიციის მუშაკები დიდად დაეხმარნენ მეხანძრეებს.

**ლ. ჭოჭუა**

ოცი წელია, რაც თ. ძნელაძე შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს. აქედან ხუთი წელი ის ხელმძღვანელობს კიროვის რაიონის სახელმწიფო ავტოინსპექციას. სამსახურის წლების მანძილზე მილიციის მაიორ თ. ძნელაძეს 30-ზე მეტი მადლობა აქვს მიღებული. თვრამეტი წელია რაც ის პარტიის რიგებში იმყოფება. ამ ხნის მანძილზე ამხ. ძნელაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს შინაგან საქმეთა განყოფილების პარტიულ ცხოვრებაში.

ეხლა, როდესაც მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა მას ბევრი საზრუნავი აქვს, რათა ყრილობის დღეები ჩატარდეს ყოველგვარი ავტოსაგზაო შემთხვევის გარეშე.



**სურათზე:** ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, მილიციის მაიორი თ. ძნელაძე ატარებს დელეგატებისათვის გამოყოფილი ავტობუსების ტექდათვალიერებას.

# ვებრძოლოთ ლოთობას

**გასული** წლის 1 ივნისიდან ძალაში შესულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" მოქმედ კანონმდებლობაში შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფრო მეტ საშუალებას აძლევს ლოთობის, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების, არყის შინ გამოხდის წინააღმდეგ მკაცრი და ეფექტური ბრძოლის გაძლიერებას.

დუშეთის რაიონის მშრომელებმა სწორედ აღიქვეს და აქტიურად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უაღრესად საჭირო სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

ახალმა კანონმდებლობამ დიდი ამოცანები დაუსახა სამართალდამცავ ორგანოებს. ამასთან დაკავშირებით შემუშავდა და დამტკიცდა კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა, სადაც გათვალისწინებულია ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ყველა ასპექტი, მიღებულია ზომები ლოთობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრისათვის, დამნაშავეთა სათანადო დასჯისათვის.

რაიონში უკვე იგრძნობა ახალი კანონმდებლობის დადებითი შედეგები, მცირდება სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევები, ბევრს დაუბრუნდა ზომიერების გრძნობა.

საზოგადოებასთან ერთად გატარებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად გახშირდა იმ პირთა გამოვლენის ფაქტები, ვინც საზოგადოებრივ ადგილებში თავისი ქცევით შეურაცხყოფს საბჭოთა ადამიანის ღირსებას.

ამ ხაზით მუშაობის გააქტიურებას ადასტურებს სტატისტიკაც, კერძოდ, ბრძანებულების ძალაში შესვლის დღიდან, ქუჩებიდან და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან რაიგანყოფილებაში წარმოდგენილია თითქმის ორჯერ მეტი მთვრალი მოქალაქე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი მოქალაქე ბრძანებულების მიღების შემდეგ სიმთვრალეზე განმეორებით წარმოადგინეს შს რაიგანყოფილებაში.

ჩვენი რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვან საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება მაგარი სპირტიანი სასმელების პირადი მოხმარების მიზნით მის გამოხდის ან შენახვისათვის, აგრეთვე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადებისა და შენახვისათვის. დღეისათვის მოქალაქეებისაგან შს რაიგანყოფილების თანამშრომლების მიერ ამოღებულია რამდენიმე არყის გამოსახდელი მოწყობილობა და შინ გამოხდილი არაყი. შემდგომში ამ მიმართულებით მუშაობის მეტი გააქტიურება, მეტი სისტემატურობა ესაჭიროება.

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობისათვის დადგენილი წესების დაცვას. მიუხედავად გატარებული პროფილაქტიკური მუშაობისა, კვლავ ვხვდებით სავაჭრო ობიექტებში ალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის წესების უხეშ დარღვევებს.

განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლური სასმელების მიღებაგამოყენების თითოეული ფაქტი.

კვლავ ვხვდებით ფაქტებს, როდესაც პროფესიონალ მძღოლთა გარკვეული ნაწილი ნასვამ მდგომარეობაში მართავს სახელმწიფო ან საკუთარ ავტომანქანას.

გასულ წელს სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებმა დააკავეს ათობით მძღოლი, რომლებიც მთვრალნი მიუსხდნენ საჭეს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სამართალდამცავ ორგანოებს მოსთხოვა აღმოფხვრან ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამიზნულ საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, გადაჭრით აღკვეთონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევები, აღმოფხვრან არყის შინ გამოხდა და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევები, სასმელების სპეკულაცია, დამნაშავეთა მიმართ გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელი.

რაიონის შს განყოფილება თავის წვლილს შეიტანს ლოთობასთან ბრძოლაში, ამ დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ღონისძიების წარმატებით განხორციელებაში.

**ზ. რობაქიძე,**
**დუშეთის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

ВНИМАНИЕ: НОВШЕСТВО!

# ОБУЧАЕМСЯ ПРАВИЛАМ ДОРОЖНОГО ДВИЖЕНИЯ

Заканчивая школу, наши дети получают знания по всем основным разделам науки, овладевают многими правилами поведения. Единственное, что им плохо еще дается, — это те параграфы, которые регламентируют поведение на улице, отношение с движущимся транспортом. И сплющиваются по этой причине капоты, багажники и дверцы машин, надрывно завывают сирены «скорой помощи». На сей раз мы не ставим задачу подсчитать материальный ущерб, нанесенный по вине недисциплинированных пешеходов. Это — особый разговор. В данной статье внимание читателя хотим обратить на детский дорожно-транспортный травматизм, последствия которого порой оборачиваются трагедией.

Больше всего тревожит то обстоятельство, что общее число ДТП, приведших к увечьям, а то и к смертельному исходу, год от года растет. В прошлом году на территории республики было зарегистрировано 18 наездов, при которых погибли пять и получили ранения 14 детей. По сравнению с аналогичным периодом 1983 года количество происшествий с участием в них детей возросло на два, а число погибших — на четыре. За 11 месяцев текущего же года погибли два ребенка и еще 11 получили телесные повреждения.

Усилия со стороны работников госавтоинспекции привели лишь к тому, что несчастные случаи за последнее время как бы стабилизировались, без существенных, к сожалению, корректировок в сторону снижения. Именно с этой целью, с целью ограждения детей от несчастных случаев, ГАИ МВД республики в начале текущего года приступили к планомерному выполнению комплексных мероприятий. За основу взяли испытанную ранее форму — проведение массовых рейдов (привлекая широкий актив) с выявлением водителей - нарушителей. Виновных, тех, кто не подпадал под особую статью, предусматривающую уголовное наказание, — вызывали на собеседование в отделы ГАИ, приглашали в Дома культуры. Перед ними с циклом лекций выступили ответственные работники Управления госавтоинспекции Министерства внутренних дел Грузинской ССР, прокуратуры и МВД Аджарской АССР. Провинившихся при этом не только знакомили с новыми положениями в правилах дорожного движения, вопросами безопасности движения и административной практики, уголовной ответственности за отдельные нарушения, но тут же, как говорится, по горячим следам, знакомили с материалами административных нарушений и на месте объявляли санкции, принятые по отношению к ним.

— Ну, ладно! — сказали как-то бывалые шоферы. — Вы проводите с нами профилактическую работу, и это очень хорошо. Напомнить об осторожности никогда не мешает, тем более, когда речь идет о детях. Но что они знают о правилах дорожного движения, об опасностях, которые поджидают их на каждом перекрестке? Об этом хоть предупреждают?

Весьма справедливые упреки: учитываются случаи с какими-то исходами, да не те, которые сумели предотвратить. Но ведь — не ровен час, и тогда... Решили: за общеобразовательными средними школами (для начала в г. Батуми) закрепить офицеров госавтоинспекции с целью проведения для учащихся лекций и бесед. Кроме того, перед началом учебного года в Батуми и Кобулети по возрастному принципу были созданы отряды юных инспекторов движения, которые участвовали и в месячниках «За безопасность дорожного движения».

Следует отметить, что дети с удовольствием принимали участие во всех наших мероприятиях, с интересом слушали и лекции, и беседы. Однако, в силу ряда причин, органы милиции не всегда в состоянии придать своим мероприятиям систематический характер. Со временем младшие школьники начинают забывать преподанные нами уроки, не закрепляют свои знания старшеклассники. Получается, что работа проделана впустую, а те органы — в лице Министерства просвещения Аджарской АССР, отделов народного образования, исполкомов городских и районных Советов народных депутатов, которые, казалось бы, больше других должны быть заинтересованы в нашей поддержке, фактически стоят в стороне, и их пассивность трудно объяснима.

Между тем, еще в 1981 году Министерством просвещения СССР совместно с Главным управлением ГАИ МВД СССР разработана специальная «Программа для общеобразовательных школ и внешкольных учреждений». К сожалению, она так и не стала не только учебной дисциплиной, но, хотя бы, пособием для проведения внеклассных занятий.

Еще раз хочу подчеркнуть: вопросы обучения учащихся школ правилам дорожного движения — дело не одних лишь работников госавтоинспекции.

**Н. АЗАКИШИ,**
**госавтоинспектор ГАИ МВД Аджарской АССР, старший лейтенант милиции.**

# БЕЗУПРЕЧНАЯ СЛУЖБА

**Тридцать один год служил в органах пожарной охраны УПО МВД ГССР помощник начальника отряда военизированной пожарной охраны-4 г. Рустави майор в/с Э. Никитин.**

**Еще в молодости Элгуджа Алексеевич решил связать свою судьбу со службой по борьбе с огнем. Начинал рядовым бойцом, а сегодня он — помощник начальника ОВПО-4 г. Рустави.**

**Элгуджа Алексеевич пользуется заслуженным авторитетом среди личного состава отряда ВПО и руководства Управления пожарной охраны республики, всегда проявлял мужество и оперативность на пожарах.**

**За отличные показатели в работе Э. Никитин неоднократно поощрялся руководством МВД ГССР и Управления пожарной охраны республики.**

**За проявленное мужество при тушении пожаров он дважды награжден медалью «За отвагу на пожаре».**

**А недавно личный состав отряда ВПО проводил Элгуджу Алексеевича на заслуженный отдых.**

**სოფელ** ბერმუხას რახანია ეძინა, მაგრამ სოფლის თავში ქვის ორსართულიან შენობაში ჯერ კიდევ ენთო შუქი.

ეს შენობა კოლმეურნეობის კანტორა გახლდათ.

ბერმუხა დიდი სოფელი იყო. დიდ მუხას კი ყოველთვის დიდი ქარი უბერავს. ჰოდა, საქმეც ყოველთვის ბლომად გროვდებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი ,რომ ხშირად თავმჯდომარე ლევან ბერძული შუაღამემდე ვერ ტოვებდა ხოლმე თავის კაბინეტს.

ახლა მის კაბინეტში გრძელი მისადგმელი მაგიდის მარჯვენა მხარეს პარტორგანიზაციის მდივანი ოთარ ტრაპაიძე იჯდა. ცისფერი, ენერგიული თვალებით წინ იყურებოდა და მის პირდაპირ მჯდარ მთავარ აგრონომს ზურაბ ერგემლიძეს სახეში მისჩერებოდა.

მათ გარდა მაგიდასთან კიდევ მთავარი ბუხჰალტერი იასონ კაპანაძე, ფერმის გამგე ლავროსი უნდილაძე და მთავარი ზოოტექნიკოსი პალიკო ბარბაქაძე ისხდნენ.

ბერძულს მუშტად შეკრული

— მერე საერთო კრებაც უნდა ჩავატაროთ, — თქვა მთავარმა აგრონომმა.

— დიახ, პარტიული კრების შემდეგ საერთო კრებას ჩავატარებთ. აქ უკვე საერთო სახალხო განხილვის სახეს მივცემთ მეურნეობის მომავალ გეგმებს.

ორი საათი, რომ გახდა მთავარი აგრონომი ადგა.

— ამხანაგო ლევან, მე უნდა წავიდე. ხომ იცით, დილით თბილისში უნდა ვიყო.

ბერძულმა უკმაყოფილოდ გახედა ზურაბ ერგემლიძეს.

— ჰო, ვიცი...

— ჰოდა, წავედი. თუ არ ვივარგე, აბა იქ ისე რა უნდა ვილაპარაკო, გათენდა უკვე.

ბერძულმა ცალი თვალი საათისაკენ გააპარა, მერე პარტორგანიზაციის მდივანს გადახედა.

— ამხანაგო ოთარ, თქვენ და ზურაბი წადით. მე ამათთან კიდევ ცოტას ვითათბირებ, მალე მოვრჩები.

მთავარი აგრონომი და პარტორგანიზაციის მდივანი ერთად წამოდგნენ.

# მზე ისევ გამოანათებს

**ზაალ მესენგისერი**

ორივე ხელი მაგიდაზე დაეწყო, თავი უკან, რბილი სავარძლის საზურგეზე გადაეგდო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მის კაბინეტში შეკრებილ ამ მილეთის ხალხს სულაც არ უყურებდა.

— მე ვფიქრობ, რომ დღეიდან ჩვენი სოფლის წინაშე სულ ახალი გზები და პერსპექტივები ისახება. კოლმეურნეობის ბაზაზე საბჭოთა მეურნეობის შექმნა დიდი მოვლენაა. თავმჯდომარე შეჩერდა. სქელი, მოქუფრული წარბები დააფახულა და შავი, გამჭოლი თვალებით ერთ წუთს ოთარ ტრაპაიძეს შეხედა, — ჩვენს შორის არ მეგულება ვინმე ისეთი, რომ მთლიანად არ გრძნობდეს დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც ახლა, ამ წუთში, ნათლად აისახება ბერმუხის საბჭოთა მეურნეობის თითეული ხელმძღვანელი მუშაკის წინაშე, ბერძულმა ახლა მთავარ აგრონომს გადახედა, წუთით შეჩერდა, მერე ყრუდ ჩაახველა, და უფრო მეტი რიხით გააგრძელა — დიახ, დიდი საქმე გაკეთდა, ძალიან დიდი საქმე. ამ სიკეთეს, რაც ამ გადაწყვეტილებას შემდგომში მოჰყვება, სულ მალე დაინახავს ყველა ბერმუხელი. ჩვენი ვალი კი ის იქნება, პარტიისა და მთავრობის დიდ ამაგს ენერგიული შრომით ვუპასუხოთ.

სწორედ ამ დროს კაბინეტის კარი დამლაგებელმა შემოაღო.

— ჰო, რა იყო პელაგო, ხომ არ შეგაგვიანეთ?

— ბატონო ლევან, თუ ნებას მომცემთ, წავალ. დილით ადრე მოვალ და თქვენს კაბინეტს მერე დავალაგებ.

— წადი, შე ქალო. ჩვენ ახლა ვიწყებთ თათბირს. შეიძლება დილასაც აქ დაგხვდეთ.

— მადლობელი ვარ, ბატონო ლევან. აბა, ახლა წავალ მე.

— პელაგია, მამიკონა ჰიაბრიშვილი მანდ არის?

— აქ გახლავთ, ჩემო ბატონო.

—ჰოდა, უთხარი მაგას, ფეხი არ მოიცვალოს, მანდ დამელოდოს.

— მე ვფიქრობ ამ დიდ მოვლენასთან დაკავშირებით პარტიული კრება უნდა ჩავატაროთ, — წამოიწყო ბერძულმა და ოთარ ტრაპაიძეს გადახედა.

— რასაკვირველია, ეს აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა. კრება კარგად უნდა მომზადდეს, უნდა გავაანალიზოთ ჩვენი შესაძლებლობები, რისი გაკეთებაც რეალურად შეგვიძლია. ღონისძიებები კონკრეტული და ლოგიკური უნდა იყოს. პირველ რიგში კომუნისტების დარაზმვაა საჭირო.

— ლევან დილით მეც შემაგვიანდება, ბრიგადები მინდა შემოვიარო — თქვა ოთარ ტრაპაიძემ. და კარისაკენ წავიდა.

— გასაგებია — ჩაილაპარაკა ბერძულმა. — ლავროსი, იქ მამიკონა იცდის. დაუძახე, ერთი აქ შემოვიდეს. უნდილაძე მაშინვე მკვირცხლად წამოვარდა და კარისაკენ გაქანდა.

— მამიკონ! მოდი, ბიჭო, ამბაკოვიჩი გეძახის.

საწყობის გამგეც მაშინვე გამოჩნდა ზღურბლზე.

— დაჯექი, — უთხრა თავმჯდომარემ. თვითონაც სავარძელთან მივიდა და მძიმედ ჩაჯდა. თავი მაშინვე საზურგეზე მიდო, რაღაცაზე ჩაფიქრდა, მერე მზერა მთავარ ბუხჰალტერს გაუსწორა.

— იასონ, გამოცდილი კაცი ხარ და რაღა გესწავლება, მაგრამ ხომ გაგიგია: ერთის ჭკუა ერთია ორისა კიდევ ორჯერ მეტიო. ხვალ მოხვალ თუ არა, თავად ჩაატარე დოკუმენტური რევიზია. ყველაფერი წესრიგში მოიყვანე. ხომ ხედავთ რამოდენა საქმე გაკეთდა. იმდენი სიცოცხლე ჩემს შვილებს რამდენი ოფლიც მე ამაში ჩავყარე. ყველამ იცით, სოფლის ბედი ჩემი საკუთარი ბედია და ამიტომაც ვიკლავდი თავს ჩვენი უნიათო კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად, რომ მექცია. კოლმეურნეობის საქმეთა სლიკვიდაციოდ კომისია მოვა. ავტორიტეტული ხალხი მოვკაკითხავს. ყველაფერს მიკროსკოპით ჩახედავენ, ათასჯერ ასწონიან თუ რაიმე ხელმოსაკიდი ნახეს, სამპირ ტყავს გაგვაძრობენ...

— ყველაფერი გასაგებია, ამბაკოვიჩ — თქვა კაპანაძემ. თავმჯდომარემ მაგიდაზე დააკაკუნა.

— მოიცა, კაცო! ჯერ ყველაფერი როდი ვთქვი. — ჰოდა, იმას ვამბობდით ერთ წუთას დაფიქრდა, ხშირი წარბები კუშტად შეკრა — სირცხვილია, სადმე დარღვევა, რომ ამოგვიჩინონ, თავი მოგვეჭრება. ამხელა საქმეს გვანდობენ და რას იტყვიან. იმას იტყვიან, რომ საბჭოთა მეურნეობა კი არა, ამათ ქალალდებისთვისაც კი ვერ მოუვლიათო. იასონ, თუ კაცი ხარ, თავად ჩაუდექი საქმეს. შენზე უკეთ ბუხჰალტერიისა კაციშვილმა არ იცის. ყველაფერი გულმოდგინეთ გასინჯე. თუ რაიმე გასაკეთებელია, მე მითხარი. აქა ვარ, შე კაცო.

— გახსოვდეთ, ყველამ ყურები მაგრად მოიფერთხეთ და დოკუმენტები წესრიგში მოიყვანეთ. გაიგეთ?

— გავიგეთ, ამბაკოვიჩ. ყველაფერი ძალიან კარგად გავიგეთ...

(დასაწყისი „მგზს“ № 1, 2, 3, 1986 წ)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# დაჯილდოებული დამნაშავენი

**იზმირის** სასამართლოში ირჩეოდა ქურდის, ვინმე სულეიმან ხენიალარის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ექვსი ბინის ქურდობაში.

— თქვით, — უთხრა მას მოსამართლემ, — მართალი არის, რომ ადრე თქვენ კიდევ ჩაიდინეთ 50 დანაშაული?

— ჩემი პროფესია ქურდობაა — აუღელვებლად უპასუხა ხენიალარმა, — დათვლა კი პოლიციის საქმეა, ჩვენ ხომ ვიხდით ფულს მათ შესანახად.

**სიეტლში** (აშშ) სპირტიანი სასმელებით არალეგარული ვაჭრობისათვის ორასი დოლარით დააჯარიმეს ზუმი დევისი. გაჩხრეკისას მის საძინებელ ოთახში ნახეს ვისკისა და ღვინის დიდი მარაგი. დევისს როგორც ჩანს — აშშ-ზე მითიურ თავდასხმაზე ბევრი გაეგონა და თავის გასამართლებლად განაცხადა:

— ეს იყო ჩემი ხელშეუხებელი მარაგი, მე შევქმენი ის ატომური თავდასხმის შემთხვევისათვის.

**ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ**

# ПО НАКЛОННОЙ ПЛОСКОСТИ

Слово «спекулянт» — латинского происхождения. В переводе на русский язык означает: человек, занимающийся торговлей, рассчитанной на легкую и быструю наживу.

Вряд ли «герои» нашей истории знали этимологию этого слова. Но то, что путем купли и перепродажи дефицитных товаров можно неплохо наживиться, убедились на практике. Для этого они на первых порах сколотили вокруг себя узкий круг людей — любителей, так называемого дефицита, желающих иметь то, чего нет у других. А для этого нужна небольшая малость: всего-навсего переплатить за тот или иной товар в два, а то и в три раза больше своей цены и желанная вещь становится твоей собственностью.

Супруги Михаил Залиашвили, водитель одного из автотранспортных предприятий города и Вардико Майсурадзе, домохозяйка, проживающие по ул. Бадиаурской, 18, были известны в определенных кругах населения. У них квартира была своего рода «складом» импортных товаров. Если кому-нибудь из вас нужны западногерманское пиво, датское печенье, засоленный миндаль или арахис, итальянское шоколадное масло «Нутелла», пожалуйста, к вашим услугам квартира-склад Залиашвили — Майсурадзе по ул. Бадиаурской, 18. Правда, это все вы могли приобрести месяц тому назад. Теперь же склад пришлось закрыть, и нам кажется, надолго. А любителям товаров с иностранной этикеткой придется забыть этот адрес.

— Где же доставали эти товары супруги Залиашвили и Майсурадзе? — удивится читатель.

**Из материалов расследования:** М. Залиашвили и В. Майсурадзе, вступив в преступную связь с жительницей города Москвы, некой Клельей Митюшкиной, ранее судимой за спекуляцию, через водителя АПТ Минплодоовощхоза М. Джавахишвили, договорились доставлять из Москвы в Тбилиси для дальнейшей реализации по спекулятивным ценам продукты.

К. Митюшкина с апреля по ноябрь 1985 года отправила Залиашвили и Майсурадзе 230 ящиков (5.520 банок) западногерманского пива, 434 банки с шоколадным маслом итальянского производства, 12 ящиков (120 банок) с датским печеньем, 6 коробок с засоленным миндалем и 8 коробок с засоленным арахисом.

Часть продуктов была продана с выгодой в 2.605 рублей, а ожидаемую прибыль в сумме 9.015 рублей пресекли сотрудники ОБХСС УВД Тбилгорисполкома З. Коберидзе, Л. Копалеишвили, А. Гогебашвили, А. Хахвишвили и Д. Кукавадзе.

Если супруги Залиашвили-Майсурадзе «специализировались» на продуктах, то их «коллеги», о которых расскажем ниже, решили заняться делом более выгодным — реализацией дефицитных сантехнических изделий и отделочных материалов.

Группа эта состояла из 4 человек. Возглавлял ее бригадир мастерской мелких ремонтов Управления «Тбилтоннельстроя» член КПСС Т. Немсицверидзе. В группе были рабочие, водители — Г. Гегешидзе, Г. Шакулашвили, А. Кансиди, которые вступив в преступный сговор с братом Кансиди — Константином и гостем г. Тбилиси, жителем г. Тюмени В. Семенчуком, заключили сделку о доставке из г. Тюмени дефицитных сантехнических изделий и отделочных материалов для последующей реализации по спекулятивным ценам.

Прилетев из г. Тюмени, Константин Кансиди сообщил своему брату Архилеву, что в Тбилиси из Тюмени прибыли 3 грузовые автомашины марки «КАМАЗ», загруженные сантехническими изделиями и отделочным материалом. 2 ноября братья Кансиди совместно с Семенчуком явились в мастерскую и заявили, что для выкупа указанного товара (государственная цена 21.694 руб. 34 коп.) необходимо 27.000 рублей. Однако работники мастерской Немсицверидзе, Гегешидзе и Шакулашвили для начала предложили им 12 тысяч рублей наличными, а остальные 15 тысяч обещали погасить после реализации товара, а сами после продажи намеревались получить прибыль в сумме 29.538 рублей.

В целях конспирации хранения похищенного, указанные лица связались с неким Иванишвили — охранником автогаража Грузинского геологического управления, расположенного в селе Лиси, вблизи г. Тбилиси и 4—5 ноября все три «КАМАЗа», разгрузили в указанном гараже. После данной операции, преступники частями вывозили товар в город и реализовывали по спекулятивным ценам.

Однако 14 ноября 1985 года Шакулашвили и Иванишвили были задержаны в тот момент, когда они загрузили похищенным товаром автомашину «Торгтранса», управляемую водителем Шаманиди и пытались доставить к месту реализации.

Немедленно был произведен обыск в автогараже Геологического управления, откуда было изъято 520 кв. метров облицовочных плит для стен, 720 кв. метров для пола, 23 рулона (800 кв. метров) линолиума, 35 умывальников в комплексе, 34 унитаза, 14 смесителей, всего на общую сумму 21.694 руб. 34 коп.

Как было установлено, реализацию данного товара работники мастерской производили разным способом, в том числе и путем фиктивного оформления договоров с гражданами о якобы проведении в их квартирах монтажа сантехнических узлов и отделочных работ материалами заказчика.

По данному факту также арестованы жители г. Тюмени—Кансиди Константин Лазаревич и Семенчук Валерий Григорьевич, оба ранее судимые за хищения государственного имущества.

Преступную деятельность Немсицверидзе и К° пресекли старшие оперуполномоченные ОБХСС УВД Тбилгорисполкома капитаны милиции Д. Адамашвили и М. Тетрадзе, оперуполномоченные ОБХСС старшие лейтенанты милиции И. Кофенлу и К. Меладзе.

«Герои» наших историй, о которых мы рассказали выше, избрали легкий путь наживы. Они хотели наживиться за чужой счет, хотели, чтобы деньги без труда, без особых физических и умственных усилий перекочевывали из чужого кармана в их собственный. Но они не чувствовали, что катились по наклонной плоскости в омут, в омут стяжательства. Они надеялись, что обогащение приведет их к беспечной жизни, но получилось наоборот. Обогащение привело их к духовному падению, а в конечном итоге, на скамью подсудимых.

**А. СААКАДЗЕ.**

# ქრილობას მიმქლვნა

თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიხსნა სსრ კავშირის საქართველოს კომპარტიისა და კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობებისადმი მიძღვნილი ფოტონამუშევართა გამოფენა:

გამოფენაზე წარმოდგენილია ჩვენი რესპუბლიკის ფოტოჟურნალისტთა და ფოტოხელოვანთა ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ ფოტოგამოფენაზე სხვებთან ერთად წარმოდგენილია გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ ფოტოკორესპონდენტის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის მდივნის ანზორ გოგოლაძის 9 ნამუშევარი:

ჩვენს მკითხველებს ვაცნობთ ა. გოგოლაძის ორ ნამუშევარს: „რეპორტიორი“, და „მალე სამნი ვიქნებით“.





**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 991-41-24.Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24 უე 00311
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.